რევანში შედგა

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი.; 21 აგვისტო.

“დინამო” (თბილისი) – “ჩერნომორეცი” (ოდესა) 1:0 (1:0).

“დინამო”: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, სულაქველიძე, დარასელია, ჭილაია, ჟვანია, ჩელებაძე (მინაშვილი), ყიფიანი, შენგელია (ცავა).

“ჩერნომორეცი”: ჟეკიუ, ჩილიბი, უსტინოვი, ბულანკინი, ტარანი (გორიაჩევი), სკრიპნიკი, გოლოვინი, უსტიმჩიკი, შევჩენკო, შალამაი (ჟარკოვი), იშჩაკი.

მსაჯი: ს. ბელიაევი (მოსკოვი).

“ჩერნომორეცთან” შეხვედრა თბილისელთათვის მრავალმხრივ იყო საინტერესო. ჯერ ერთი, ამ ორ გუნდს განვლილი ტურისთვის იდენტური მაჩვენებლები ჰქონდა გათამაშების ცხრილში (გატანილი და მიღებული ბურთების გარდა), მეორეც – წლევანდელი ჩემპიონატის პირველი მარცხი დინამოელებმა სწორედ ოდესაში განიცადეს. და კიდევ: ჩვენს მაყურებელს კარგად ახსოვს, რომ შარშან და შარშანწინ თბილისის “დინამომ” ოთხივე კალენდარული მატჩი მოუგო “ჩერნომორეცს” თბილისშიც და ოდესაშიც, მაგრამ კიდევ უფრო ადრე ჩვენს სტადიონზე ოდესელებს ვუგებდით ანგარიშით 3:0, მათ კი ზედიზედ სამივე გოლი გაქვითეს – 3:3. ე.ი. “ჩერნომორეცი” არაა სახუმარო მოწინააღმდეგე.

სახუმაროდ არც არავის ეცალა. გაჩაღდა თამაში და პირველივე წუთებიდან დაიწყო სტუმრების კარის ნამდვილი შტურმი. დინამოელთა საერთო ურთიერთმოქმედება ისე საფუძვლიანად, გეგმიანად იყო ორგანიზებული დაცვაშიც და შუა მინდორშიც, რომ წინა ხაზის მოთამაშეებს სრული შესაძლებლობა ჰქონდათ მხოლოდ შეტევისთვის ეწარმოებინათ თავიანთი მანევრები, არ შეენელებინათ იერიშები მთელს ფრონტზე.

ოდესელები საკმაო ხანს იცავდნენ თავს, როგორც იტყვიან, გოლის ზღვარზე. პირველი 20–30 წუთის მანძილზე მათ არც ერთხელ არ “გამოუხედავთ” მასპინძელთა საჯარიმო მოედნისკენ, მთელი აქცენტი კეთდებოდა ყრუ დაცვაზე და მეკარე ჟეკიუზე. ამ უკანასკნელმა რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო, მერე კი, როცა “დინამოს” შეტევაში რეგულარულად ჩაებნენ ჩივაძე, კოსტავა, ხინჩაგაშვილი, ნახევარდაცვის სრული შემადგენლობა, ცხადი გახდა, რომ “ჩერნომორეცი” დიდხანს ვერ გაძლებდა იმ ტაქტიკით, როცა ბურთი განუწყვეტლივ ტრიალებდა მის საჯარიმო მოედანთან და მხოლოდ ეპიზოდურად, შემთხვევით თუ გადაცდებოდა მოპირდაპირე ნახევარზე. ასეც მოხდა: 27–ე წუთზე ჟვანიას მიეცა მორიგი რეიდის შესრულების საშუალება, მან ოსტატურად განახორციელა ინდივიდუალური გარღვევა და ძალზე ეფექტური გოლი გაიტანა მაღალ კუთხეში – 1:0.

ბრძოლის სურათი ტაიმის ბოლომდე არ შეცვლილა: ოდესელები აგებდნენ, მაგრამ კვლავ საკუთარ ნახევარზე იყვნენ ჩაკეტილი და რაც ერთობ მოულოდნელი იყო, დროსაც კი აჭიანურებდნენ.

მეორე ტაიმის დასაწყისი ასეთივე ანალოგიით მიმდინარეობდა: ანგარიშის გაზრდის საუკეთესო შესაძლებლობანი მიეცათ ყიფიანს და ჩივაძეს, დარტყმები კი აცდა მიზანს. და აქ, 51–ე წუთზე, ოდესელებმა თავიანთი პირველი რეალური სახიფათო მომენტი შექმნეს “დინამოს” კართან. მარჯვენა ფლანგიდან უსტიმჩიკის მიერ მოწოდებულ ბურთზე კარიდან ნაადრევად გამოვიდა გაბელია და შალამაიმ აქტიურად ღია კარს თავით ააცილა დარტყმა…

ამის შემდეგ “ჩერნომორეცის” ფეხბურთელები გაცილებით უფრო აქტიურად ამოქმედდნენ, ვიდრე ეს ადრე იყო. მართალია, საერთო უპირატესობა, თამაშის სადავეები კვლავ დინამოელებს ეპყრათ ხელთ, მაგრამ ამას ისეთი ტოტალური ხასიათი აღარ ჰქონდა, როგორც პირველ ტაიმში. დროდადრო სტუმრებიც… უტევდნენ, რის გამოც ჩვენს მცველებს უკვე თავიანთი უშუალო და პირდაპირი ფუნქციების შესრულება უხდებოდათ კარის სიახლოვეს.

მართალია, დიდი ანგარიშით მოსაგები მატჩი მხოლოდ მინიმუმით მოვიგეთ, მაგრამ გათამაშების ამ საპასუხისმგებლო ეტაპზე მიზანი მიღწეული იქნა, 2 ქულა ავიღეთ და ამ უშუალო კონკურენტსაც გადავუსწარით.

ბ. ქორქია.

“ლელო”, 23 აგვისტო, 1980 წ.